

საქართველოს სოც.



საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1930 წ. ოქტომბრის 25.

№ 17

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი :

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

268. 1930 წ. სექტემბრის 1-დან ახალციხისა; ახალქალაქისა, ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრების ლიკვიდაციისა და რესპუბლიკის ამ ნაწილში ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებასა და სარაიონო ორგანოებს შორის უშუალო კავშირის დამყარების შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

269. საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ. დებულება საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა ინსტიტუტის შესახებ.

270. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების (საქალაქო საბჭოების) პრეზიდიუმებთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების (საქალაქო საბჭოების) პრეზიდიუმებთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტების შესახებ.

271. საქართველოს მეცნიერებათა ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

272. საქართველოს სსრ ქალაქებში და სოფლებში 1930-31 წ. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

273. სელის მოსავლის ნორმის დაწესების შესახებ ერთ ჰექტარზე, რომელი ნორმის დანაკლისსაც აუნაზღაურებს მთესველს სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევა.



274. სახელმწიფო დაზღვევის სფეროში მისანიჭებელი შეღავათების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ინსტრუქცია სოფლად და ქალაქად 1930-31 წ. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის სფეროში შეღავათების მინიჭების წესის შესახებ.

275. „საქართველოს სსრ-ში უმაღლესი და საშუალო განათლების სკოლების რეოვანიზაციის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

276. საქართველოს სსრ-ში ავტომობილიზმის განვითარებისა და გზების გაუმჯობესების ხელისშემწყობი საზოგადოების წევრთა განათვისუფლების შესახებ მათი მოტივაციკლებისა და ველოსიპედებისათვის გადასახდენივნი ადგილობრივი გადასახადისა და გამოსადებისაგან.

277. საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების ჩატარების შესახებ.

278. საბაზრო კომიტეტების დებულების შეცვლისა და შეგვების შესახებ.

სენსრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

268. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

1930 წ. სექტემბრის 1-დან ახალციხისა, ახალქალაქისა, ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრების ლიკვიდაციისა და რესპუბლიკის ამ ნაწილში ხელი-სუფლების ცენტრალურ ორგანოებსა და სარაიონო ორგანოებს შორის უშუალო კავშირის დამყარების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. 1930 წლის სექტემბრის 1-დან ლიკვიდირებულ ჩაბთვალს ახალციხისა ახალქალაქისა, ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრები და იმავე რიცხვიდან გაუქმებულ იქნეს ხელისუფლების სათანადო სამაზრო ორგანოები.

2. დამყარებულ იქნეს 1930 წ. სექტემბრის 1-დან უშუალო კავშირი ცენტრალურ ორგანოებსა და იმ რაიონების აღმასრულებელ კომიტეტებს შორის, რომლებიც შედიოდნენ ზემოაღნიშნული გაუქმებული მაზრების შედგენილობაში; ამასთანავე ეს კავშირი და იმ საკითხების გადაწყვეტა, რაც დაკავშირებულია სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის გაუქმებული სამაზრო ორგანოების საქმეებისა და ქონების გადაცემასთან, განხორციელდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 16-ის დადგენილებაში გათვალისწინებული წესით (გაზ. „კომუნისტი“-ს 192 №-ი).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრაი.

1930 წ. სექტემბრის 1.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 204 №-ში 1930 წ. სექტემბრის 2.

სენატრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

269. დადგენილება ც. ა. კ.

საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის გასაერთიანებლად მთელი რესპუბლიკის ფარგლებში დაარსებულ იქნეს საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა ინსტიტუტი.

2. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა ინსტიტუტის შესახებ.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა ინსტიტუტის პრეზიდიუმს შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვა როგორც მომავალი წლისა, ისე წინასწარი საორგანიზაციო მუშაობისათვის საჭირო ხარჯებისა.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა ინსტიტუტის პრეზიდიუმს ჩაიბაროს ინსტიტუტისათვის განკუთვნილი ყოფილი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა და აგრეთვე ყველა ის დაწესებულება, რაც ამასთანავე დართული დებულების თანახმად დაექვემდებარება ინსტიტუტს.

5. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მისცენ სათანადო სამეცნიერო დაწესებულებათ შეუთანხმონ თავიანთი მუშაობა საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა ინსტიტუტს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. მაისის 6.

ტფილისი—სახაზებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მეცნიერებათა ინსტიტუტის შესახებ.

1. მიზნები და ამოცანები.

1. მეცნიერებათა ინსტიტუტი არის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც აწარმოებს მეცნიერულ მუშაობას საერთო სოციალისტური მშენებლობის მიზნებითა და გზით.

ინსტიტუტი იმყოფება განათლების სახალხო კომისარიატის უწყებაში, ექვემდებარება უშუალოდ განათლების სახალხო კომისარს, რომელსაც უდგენს დასამტკიცებლად თავისი მუშაობის გეგმებსა და მოქმედების ანგარიშს.

2. მეცნიერებათა ინსტიტუტის მიზანია:

ა) მოაწყოს და აწარმოოს საქართველოში მეცნიერული მუშაობა და მისცეს მას ერთიანი გეგმიანი მიზნობრივი მიმართულება;

ბ) შეკრიბოს, შეისწავლოს და გამოაქვეყნოს მატერიალური და გონებრივი კულტურის ძეგლები, წარმოდგენილი ზეპირი, წერილობითი და ნივთიერი მასალით როგორც საქართველოში, ისე მეზობელ ქვეყნებში;

გ) შეისწავლოს საქართველოს ბუნებრივი საწარმოო ძალები და ხელი შეუწყოს მათ გამოყენებას;

დ) გამოიყენოს პრაქტიკულად საქართველოს მრეწველობისა და კულტურულ-ეკონომიურ მშენებლობის საქმეში მეცნიერების მიღწევანი და გამოცდილებები;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აღმოსავლეთის ქვეყნების შესწავლას და ამ მიზნით გააბას მეცნიერული კავშირი ახლო აღმოსავლეთის კულტურულ ცენტრებთან.

3. აღნიშნული მიზნების მისაღწევად მეცნიერებათა ინსტიტუტი:

ა) აწარმოებს სამეცნიერო გამოკვლევებს თავის სექციებში და ინსტიტუტებში;

ბ) აარსებს საკვლევ ინსტიტუტებს, ლაბორატორიებს, სადგურებს, მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს და სხვა სამეცნიერო ხელშემწყობ და კვლევითს დამხმარე დაწესებულებებს, გამოაჭყლეს მუდმივსა და დროებითს კომისიებს და სამეცნიერო კომიტეტებს;

გ) ინსტიტუტი ამზადებს მეცნიერულ მომუშავეებს ყველა დისციპლინაში, რაც წარმოდგენილია ინსტიტუტის განყოფილებებში, როგორც თავის საჭიროებისათვის, ისე უმალღეს სასწავლებლების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;

დ) სამეცნიერო პერიოდულ გამოცემათა და კრებულთა სახით ცალკე წიგნებად ინსტიტუტი აქვეყნებს თავისი წევრების შემცირებულ კვლევებიან შედეგებს, აგრეთვე სხვა მეცნიერთა ისეთ შრომებსაც, რაც თავისი მიმართულებით და მეთოდით შედის ინსტიტუტის მუშაობის გეგმაში;

ე) ინსტიტუტი მეცნიერულ კავშირს აბამს აკადემიებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან და საზოგადოებებთან როგორც საქართველოში, ისე საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ;

ვ) ინსტიტუტი იწვევს განსაზღვრული წესების თანახმად თათბირებს, კონფერენციებს, ყრილობებს სპეციალური საკითხების შესახებ, რაც შედის ინსტიტუტის მოქმედების პროგრამაში, მონაწილეობას იღებს ასეთსავე კონფერენციებსა და ყრილობებში როგორც საბჭოთა კავშირსა, ისე უცხოეთში;

ზ) ინსტიტუტი დახმარებას უწევს სხვადასხვა უწყებათა მუშაობას კვლევებით, მეცნიერული კონსულტაციით, მეცნიერული ძალებით და სხვ.

ინსტიტუტის სტრუქტურა.

4. ინსტიტუტს აქვს ორი ძირითადი განყოფილება: 1) მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და 2) საზოგადოებრივ-ისტორიულ მეცნიერებათა. თითოეული მათგანი მეცნიერულ ხელმძღვანელობას უწევს მის შედგენილობაში მყოფ დაწესებულებათა მუშაობას.

5. მათემატიკურ - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებას აქვს სექციები:

- ა) მათემატიკური დისციპლინებისა;
- ბ) ფიზიკის და გეოფიზიკისა;
- გ) ქიმიისა;
- დ) გეოლოგიის და მინერალოგიისა;
- ე) ზოოლოგიისა, ბოტანიკის და ფიზიოლოგიისა;
- ვ) გეოგრაფიისა.

6. საზოგადოებრივ-ისტორიულ მეცნიერებათა განყოფილებას აქვს შემდეგი სექციები:

- ა) ეკონომიურ მეცნიერებათა;
- ბ) ფილოსოფიის და ფსიქოლოგიისა;
- გ) მატერიალური კულტურის და ხელოვნების ისტორიისა;
- დ) ისტორიულ მეცნიერებათა;
- ე) ენათმეცნიერებისა (კერძოდ—იაფეთილოლოგიის საფუძველზე დაყრდნობით);
- ვ) ლიტერატურათ-მცოდნეობისა და წერიითი ენებისა.

შენიშვნა. თითოეული სექციის კათედრათა რაოდენობას განსაზღვრავს განათლების სახალხო კომისარი.

7. თავის სამეცნიერო მიზნებს ინსტიტუტი ანხორციელებს შემდეგ სამეცნიერო დაწესებულებათა მეშვეობით, რომლებიც ექვემდებარებიან ინსტიტუტს:

1. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი;
2. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა;
3. პსიქო-ტენიკური ინსტიტუტი;
4. გეოფიზიკური ობსერვატორია;
5. მაგნიტური სადგური;
6. სეისმური სადგური;
7. გეოლოგიური ინსტიტუტი;
8. ქიმიური ინსტიტუტი;
9. ფიზიოლოგიური ინსტიტუტი;
10. გეოგრაფიული ინსტიტუტი;
11. კარტოგრაფიული ინსტიტუტი;
12. ბათომის ბიოლოგიური სადგური;
13. ტფილისის ბოტანიკური ბაღი;
14. ცენტრალური არქივი;
15. პალეოგრაფიული მუზეუმი;
16. მუდმივი სალექსიკონო კომისია;
17. ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომისია;
18. ინსტიტუტის სამეცნიერო სტამბა და ლითოგრაფია.

შენიშვნა. დასახელებულ დაწესებულებათა გარდა, ინსტიტუტს უფლება აქვს, თანახმად მე-3 მუხლისა, სახალხო განათლების კომისიის დასტურით, გახსნას თუ შეიერთოს ახალი სამეცნიერო დაწესებულება.

ინსტიტუტის შედგენილობა.

8. ინტიტუტი შესდგება: ნამდვილი, საპატიო და კორესპონდენტ-წევრებისაგან.

9. ნამდვილ წევრად შეიძლება იყოს ისეთი მეცნიერი, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, რომელიც ცნობილია პირველხარისხოვანი შრომით, ან ისეთი, რომელსაც აქვს თვალსაჩინო მიღწევები საბჭოთა მშენებლობაში თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათისა.

10. ნამდვილი წევრის თავისუფალ ვაკანსიაზე განყოფილება ასახელებს შესაფერ კანდიდატს, რომლის სახელსაც საჯაროდ აცხადებს; არჩევნები ხდება განყოფილების უახლოეს სხდომაზე, მაგრამ არა უადრეს ერთი თვისა, რის შემდეგაც არჩეული კანდიდატი წარედგინება დასამტკიცებლად საერთო კრებას. კანდიდატი არჩეულად და დამტკიცებულად ითვლება იმ შემთხვევაში, უკეთეს სათანადო სხდომას დაესწრო არა ნაკლებ წევრთა რიცხვის $\frac{2}{3}$ -ისა და აქედან $\frac{2}{3}$ -მა მაინც მისცა მას ხმა.

11. საპატიო წევრად და წევრ-კორესპონდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს ისეთი მეცნიერი—როგორც საბჭოთა კავშირის მოქალაქე, ისე უცხოელიც,—რომელიც ცნობილია თვალსაჩინო მეცნიერული შრომებით, და რომლის მეცნიერული მუშაობა სასარგებლოა ინსტიტუტის მუშაობის მიზნებისათვის. არჩევის წესი იგივეა, რაც ნამდვილი წევრის არჩევისათვის.

12. კათედრებისა და დაწესებულებების დანარჩენ მეცნიერ თანამშრომელთა იწვევს სათანადო კათედრა თუ დაწესებულება, საჭიროებისამებრ, თანახმად პრეზიდიუმის დასტურისა.

შენიშვნა. მეცნიერებათა ინსტიტუტის გახსნისას მის პირველ შედგენილობას წარადგენს განათლების კომისარი და დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკრულებელი კომიტეტი, რის შემდეგ ძალაში შედის საარჩევნო წესი.

13. იმ შემთხვევაში, როდესაც ინსტიტუტის წევრის მოღვაწეობა არ შეეფერება ინსტიტუტის მიზნებს, პრეზიდიუმის წინადადებით, საერთო კრება მას ანთავისუფლებს ინსტიტუტის წევრობისაგან.

14. ახალი მეცნიერული ძალების მომზადების მიზნით ინსტიტუტის ყველა განყოფილებას ჰყავს ასპირანტები, რომელთა არჩევა და მუშაობის წესი გათვალისწინებულია ცალკე დებულებით ასპირანტების მუშაობის შესახებ.

15. ინსტიტუტის თანამშრომელთა შედგენილობაში შედის ინსტიტუტის დაწესებულებათა სამეცნიერო, სადამინისტრაციო, სამეურნეო და ტექნიკური პერსონალი, თანახმად შტატისა.

ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილი.

16. სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო ხასიათის საერთო საკითხებს, რაც ინსტიტუტს ეხება მთლიანად, განიხილავს საერთო კრება, ხოლო იმავე ხასიათის საკითხებს, რაც განყოფილებებში წარმოდგენილ სპეციალობას ეხება—საგანყოფილო კრება; ერთსაც და მეორესაც იწვევს ინსტიტუტის პრეზიდიუმი.

17. ინსტიტუტის საერთო კრება მოიწვევა 3 თვეში ერთხელ, ხოლო საგანყოფილებო—თვეში ერთხელ და საზეიმო კრება მთელი ინსტიტუტისა—წელიწადში ერთხელ, რომელზედაც ერთ-ერთი წევრი აკეთებს სამეცნიერო შინაარსის მოხსენებას, ხოლო ინსტიტუტის მდივანი აქვეყნებს წლიურ ანგარიშს და ახლად არჩეულ წევრთა სიას.

შენიშვნა 1. განსაკუთრებულ შემთხვევაში პრეზიდიუმს უფლება აქვს მოიწვიოს საგანგებო კრება.

შენიშვნა 2. სამეცნიერო ხასიათის სხდომები სწარმოებს კარლიად.

18. ინსტიტუტის კრებებს ესწრებიან ნამდვილი წევრები, გადამწყვეტი ხმით, და დაწესებულებათა დირექტორებიც იმ საკითხების გამო, რაც მათ დაწესებულებას ეხება. საკითხები, გარდა მე-10—11 მუხლებში აღნიშნულისა, გადაწყდება ხმის მარტივი უმეტესობით.

ინსტიტუტის პრეზიდიუმი.

19. ინსტიტუტის პრეზიდიუმს შეადგენენ: პრეზიდენტი, პრეზიდენტის მოადგილე, 2 ვიცე-პრეზიდენტი, ინსტიტუტის მუდმივი მდივანი, განყოფილებათა სწავლული მდივნები და პროფკავშირების საბჭოს წარმომადგენელი.

20. ინსტიტუტის კრებები პრეზიდიუმის განკარგულებაშია, იგივე განაგებს ისეთს სამეცნიერო-საადმინისტრაციო საქმეებს, რაც უშუალოდ არ ექვემდებარება საერთო და საგანყოფილებო კრებებს.

21. სასწრაფო შემთხვევაში პრეზიდიუმი ისეთს საქმეებსაც არჩევს, რაც საერთო და საგანყოფილებო კრებების კომპეტენციაში შედის, ხოლო ამას მოახსენებს პირველსავე საერთო თუ საგანყოფილებო კრებას.

22. ინსტიტუტის პრეზიდენტს ირჩევს საერთო კრება ნამდვილი წევრების შედგენილობიდან ხუთი წლის ვადით და ამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. პრეზიდენტი მთავარი ხელმძღვანელია ინსტიტუტისა და პასუხისმგებელი მისი მუშაობისათვის.

23. პრეზიდენტის მოადგილე ასრულებს პრეზიდენტის ყველა მოვალეობას უკანასკნელის არაოფნის დროს, ან მისი დავალებით.

24. ვიცე პრეზიდენტს ირჩევს საერთო კრება ნამდვილ წევრთა შედგენილობიდან სამი წლის ვადით და ამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. თითოეული მათგანი უშუალო ხელმძღვანელობას უწევს სათანადო ნაწილს: სამეცნიერო-ადმინისტრაციულს და სამეცნიეროს.

25. ინსტიტუტის მუდმივ მდივანს ირჩევს საერთო კრება ნამდვილ წევრთა შედგენილობიდან და ამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. იგი განაგებს ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილს მთლიანად, აგრეთვე გამოცემობასა და მის საწყობს და საერთო კრების საქმის წარმოებას; გარდა ამისა, მას სამეცნიერო მიწერ-მოწერა აქვს ინსტიტუტის სახელით სხვადასხვა დაწესებულებებთან და პირებთან, პასუხისმგებელი რედაქტორია ინსტიტუტის ყველა გამოცემისა.

შენიშვნა. ინსტიტუტის პირველ შედგენილობას დანიშნავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში განათლების სახალხო კომისრის წარდგენით.

26. განყოფილებათა სწავლულ მდივნებს ირჩევს თვით განყოფილება ნამდვილ წევრთა შედგენილობიდან სამი წლის ვადით და ამტკიცებს საერთო კრება. ისინი უშუალო თანაშემწენი არიან ინსტიტუტის მულმივი მდივნისა, განაგებენ განყოფილების სამეურნეო ნაწილს, მოახსენებენ მის კრებას განსახილველ საკითხებს და აწარმოებენ შესაფერ კომებს.

ინსტიტუტის საქმეთა მმართველობა.

27. ინსტიტუტს ჰყავს საქმეთა მმართველობა, რომელიც უძღვება, პრეზიდიუმის საერთო ზედამხედველობით, საადმინისტრაციო, საფინანსო, სამეურნეო და საკანცელარიო საქმეებს; პრეზიდიუმის მიერ დამტკიცების შემდეგ ის არის გამცემი თანხებისა ინსტიტუტის კრედიტებიდან ყოველგვარი საჭიროებისათვის.

28. საქმეთა მმართველს ნიშნავს პრეზიდიუმი; მისი უახლოესი თანამშრომლები არიან: ტექნიკური მდივნები, სამეურნეო ნაწილის გამგე, მთავარი ბუხჰალტერი და მოლარე, რომელთაც დანიშნავს პრეზიდიუმი.

29. სამეცნიერო დაწესებულებას, რომელიც, თანახმად მე-7 მუხლისა, ინსტიტუტის გამგებლობის ქვეშ იმყოფება, განაგებს დირექტორი; მას ირჩევს შესაფერი განყოფილება და ამტკიცებს პრეზიდიუმი.

30. დაწესებულებათა განყოფილებებს განაგებენ სპეციალისტები ამა თუ იმ დარგისა; მათ ირჩევს შესაფერი განყოფილება და ამტკიცებს პრეზიდიუმი. დადაწესებულებათა სხვა სამეცნიერო თანამშრომლებს დანიშნავს, დირექტორის წარდგენით, ესა თუ ის განყოფილება და დაამტკიცებს პრეზიდიუმი. ტექნიკური თანამშრომელნი ინიშნებიან დირექტორის მიერ.

31. ინსტიტუტის სტამბას და ლიტოგრაფიას ჰყავს საკუთარი დირექტორი და საჭირო შტატი, რომელსაც განსაზღვრავს და დანიშნავს პრეზიდიუმი.

ინსტიტუტის სახსარი.

32. ინსტიტუტის სახსარს შეადგენს: ა) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები, ბ) სპეციალური თანხები.

33. ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვა პრეზიდიუმის მიერ უშუალოდ წარედგინება დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს; კრედიტები იხსნება ინსტიტუტის სახელზე.

ინსტიტუტის განსაკუთრებული უფლებანი.

34. ინსტიტუტს და მის დაწესებულებებს უფლება აქვთ გადაგზავნონ და მიიღონ უფასოდ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საზღვრებში ყოველგვარი საფოსტო ამანათი წონით 20 კილოგრამამდე.

35. ინსტიტუტის მიერ საზღვარგარეთ შექმნილი წიგნები და სამეცნიერო ხელსაწყოები განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. ინსტიტუტის წიგნთ-საცავს უფასოდ ეგზავნება კავშირში გამოსული თითო ცალი წიგნი.

36. ინსტიტუტს აქვს საკუთარი ბეჭედი სახელმწიფო ლერბითა და შემდეგი წარწერით: „საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა ინსტიტუტი“.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 105 №-ში 1930 წ. მაისის 8.

✓ 270. დადგენილება ც. ა. ძ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების (საქალაქო საბჭოების) პრეზიდიუმებთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტების დებულების დამტკიცების შესახებ.

✓ 1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების (საქალაქო საბჭოების) პრეზიდიუმებთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტების შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წ. მარტის 15-ის თარიღისა და 34 №-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისიის შესახებ (ქან. კრ. 1927 წ. მე-3 №-ი, მუხ. 46).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. სექტემბრის 8.

ტფილისი — სასახლე.

დადგენილება

✓ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების (საქალაქო საბჭოების) პრეზიდიუმებთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტების შესახებ.

1. მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტი მოეწყობა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან, რათა საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს იმ მუშაობას, რაც სწარმოებს ქალთა შრომის აღორძინებისათვის სახალხო მეურ-

ნეობის იმ დარგებში, სადაც იგი ჯერ კიდევ გამოყენებული არ არის, ქალთა შრომის ორგანიზაციისა და გაფართოებისათვის იქ, სადაც იგი უკვე გამოიყენება, მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა მასიური ჩაბმისათვის სოციალისტურ მშენებლობაში, მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის და ყოფაცხოვრების გარდაქმნისათვის.

2. მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან მოეწყობა წევრთა ისეთი რიცხვით, რასაც განსაზღვრავს თვით პრეზიდიუმი.

კომიტეტის შედგენილობას პერსონალურად დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი; ამასთანავე კომიტეტის თავმჯდომარე დანიშნება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთაგან.

3. მიმდინარე პრაქტიკული მუშაობისათვის კომიტეტი გამოჰყოფს პრეზიდიუმს კომიტეტის პლენუმის მიერ განსაზღვრული წევრთა რიცხვით.

პრეზიდიუმის შედგენილობაში შედიან კომიტეტის თავმჯდომარე, პასუხისმგებელი მდივანი და წევრები.

4. კომიტეტი ექვემდებარება უშუალოდ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს და წარუდგენს მას თავისი მოქმედების ანგარიშს. კომიტეტს მომსახურებას უწევს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის საერთო აპარატი.

5. მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტი თავისი მიზნის მისაღწევად: ა) წარმართავს და შეათანხმებს საქართველოს სსრ ფარგლებში ყველა ორგანოსი, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მუშაობას მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად საქირო ღონისძიებათა განხორციელებისათვის; ბ) თვალყურს ადევნებს, რათა უწყებებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვებში შეტანილი იქნეს ასიგნებები, რაც საქიროა მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ღონისძიებათა განსახორციელებლად; ხელს შეუწყობს ამ ასიგნებების გადიდებას როგორც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში, ისე იმ ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვებში, რომლებიც ბიუჯეტებში არ შედიან; თვალყურს ადევნებს ყველა იმ თანხის წესიერად და მიზანშეწონილად ხარჯვას, რაც მშრომელ-ქალთა ინტერესებისათვის მომსახურების გასაწევად გადაიდება; გაანაწილებს მის განკარგულებაში ქონებულ სახსარს და საკანონმდებლო ორგანოების დადგენილებებით შექმნილ ფონდებს მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ღონისძიებებზე; გ) მიიზიდავს საზოგადოებრივი თვითმოქმედების განვითარების საფუძველზე მოსახლეობის სახსარს საყოფაცხოვრებო ღონისძიებათა განსახორციელებლად (საბავშვო ბაჭნები, ბაღები, სასადილოები, სამრეცხველოები და სხვ.); დ) შეისწავლის მშრომელ ქალთა ყოფაცხოვრებისა და შრომის პირობებს და ჩააბამს ამ საქმეში სათანადო ორგანიზაციებსა და სამეცნიერო ძალებს; ე) შეიმუშავებს და გაატარებს არსებული წესისამებრ იმ საკანონმდებლო განზრახვლებათ, რაც მიმართ

თულია მშრომელ ქალთა შრომისა, ყოფაცხოვრებისა და სოციალურ-კულტურული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; აგრეთვე მონაწილეობას მიიღებს სხვა ორგანოების მიერ ამავე საკითხების შესახებ საკანონმდებლო განზრახვლებათა შემუშავებაში; თვალყურს ადევნებს ყველა იმ კანონდებულებისა და განკარგულების სათანადოდ შესრულებას, რაც მშრომელ ქალთა მდგომარეობას, მათი შრომის პირობებს და ყოფაცხოვრების გარდაქმნას ეხება; ე) ხელს შეუწყობს, რათა მშრომელი ქალები ჩაბმულ იქნენ საბჭოთა მშენებლობაში, საბჭოებისა, მათი კომისიებისა და სექციების მუშაობაში, სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა აპარატში და აგრეთვე; საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში; ზ) მიიღებს ღონისძიებას, რათა სისტემატიურად იქნეს დაყენებული მუშა-ქალთაგან, მოჯამაგირე-ქალთაგან, ღარიბ და საშუალო შეძლების ქალთაგან კადრების მომზადება და საწინააღმდეგობრივად; აგრეთვე მიიღებს ღონისძიებას იმ ქალებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად, რომელნიც უკვე აქტიურად იღებენ მონაწილეობას საბჭოთა მშენებლობაში; თ) თვალყურს ადევნებს მრეწველობაში ქალთა ჩაბმის გეგმის განხორციელებას; ხელს შეუწყობს მათი საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებას და მიიღებს ღონისძიებას ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის ყოველი სახის წარმოებაში; ხელს შეუწყობს ქალთა მასების ფართოდ ჩაბმას სოფლის მეურნეობის კოლექტიური ფორმების მშენებლობაში; მიიღებს ღონისძიებას ქალთა შრომის სათანადო პირობების შესაქმნელად კოლექტიურ მეურნეობებში და ქალთა კვალიფიკაციური შრომის კადრების მოსამზადებლად სოფლის მეურნეობისათვის და აგრეთვე კულტურულ საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გასაწევად კოლექტიურ მეურნეობებისათვის; კ) ხელს შეუწყობს ქალთა მასების კოოპერირებას სხვადასხვა სახის კოოპერაციაში; ლ) ხელს შეუწყობს ქალთა უმუშევრობისა, უპატრონობისა და პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლას; მ) ხელს შეუწყობს ღონისძიებათა განხორციელებას ქალთა ჯანმრთელობის დაცვის გასაძლიერებლად, კერძოდ; სამედიცინო კონსულტაციებისა და დედობისა და ბავშვობის დამცველ დაწესებულებების მოწყობას; ნ) გაუწევს ქალებს სათანადო ორგანიზაციების მეშვეობით იურიდიულ დახმარებას—მათ შორის ოჯახისა, ქორწინებისა და მეურვეობის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის პოპულარიზაციაში; ო) შეიმუშავებს—კულტურულად უფრო ჩამორჩენილ ეროვნებათა საყოფაცხოვრებო პირობების ანგარიშში მიღებით—განსაკუთრებულ ღონისძიებათ, რასაც მიზნად ექნება რაც შეიძლება საჩქაროდ აღმოფხვრას ქალის საყოფაცხოვრებო, ეკონომიური და უფლებრივო მონობის ნაშთები (ბრძოლა ყალიბთან, ირადთან, ნაჩვლაშთან, მრავალკოლიანობასთან, ქალის მოტაცებასთან და სხვ.); ხელს შეუწყობს მათი სოციალურ-კულტურული ღონის ამაღლებას და სოციალისტურ მშენებლობაში და საბჭოთა მუშაობაში მათ ჩაბმას, კერძოდ—ყოველგვარად ხელს შეუწყობს ზემოაღნიშნულ ეროვნებათა ქალებს შორის განათლების გავრცელებას—სპეციალურად მათთვის წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაციის პუნქტების მოწყობით და მათგან წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდატორთა მომზადებით, კულტურულ-განმანათლებელ და საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა (კლუბების, კუთხეების) ქსელის გაფართოებით, ქალ-

თა ახალგაზრდობის უმაღლეს სასწავლებლებსა, მუშათა ფაკულტეტებსა, ტენიკუმებსა და სოციალური აღზრდის სკოლებში ჩაბმით და განსაკუთრებული სკოლებისა, ჯგუფებისა, ცვლებისა და სხვ. მოწყობით, სადაც ეს საჭირო იქნება; პ) განახორციელებს ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას საქართველოს სსრ მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების სხვა ქვემდგომი კომიტეტების მიმართ; უ) გამოსცემს ქვემდგომი კომიტეტებისათვის ინსტრუქციებსა, ცირკულარებსა და განმარტებებს ამა დადგენილების შესაფარდებლად მათი მუშაობის ყველა საკითხის სფეროში.

6. ზემოაღნიშნული ამოცანების განხორციელების დროს კომიტეტი უნდა ეყრდნობოდეს მშრომელი მასების თვითმოქმედებას და ინიციატივას და ყოველმხრით აწვითარებდეს ამ ინიციატივას.

7. დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად კომიტეტი დაამყარებს კავშირს საქართველოს სსრ უწყებებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, მიიღებს მათგან საჭირო მასალებს, მიანდობს მათ დასამუშავებლად ცალკეულ საკითხებს, განიხილავს თავის სხდომებზე მათ მოხსენებებს ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გარდაქმნის საკითხების გამო და გაეცნობა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას თავის გამგებლობის საგნების სფეროში.

მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ადგილობრივი კომიტეტები.

8. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებთან და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და რაიონებში შეუვალი ქალაქების საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებთან მოეწყობიან მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ადგილობრივი კომიტეტები შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე და პასუხისმგებელი მდივანი (იგივე თავმჯდომარის მოადგილე), რომელთაც დანიშნავს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა რიცხვიდან, და თითო წარმომადგენელი სათანადო ცენტრალური თუ ადგილობრივი (სარაიონო და საქალაქო) ორგანოებისა: შრომისა, ჯანმრთელობისა, სახალხო განათლებისა და სხვ.; აგრეთვე თითო წარმომადგენელი ადგილობრივი პროფესიონალური ორგანიზაციებისა, პარტიული კომიტეტის ქალთა სექტორისა და ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესების კომისიისა. პასუხისმგებელი მდივანი გატარებულ უნდა იქნეს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის შტატში.

9. თავისი მუშაობით ადგილობრივი კომიტეტი ანხორციელებს სათანადო ტერიტორიის ფარგლებში ამა დებულების მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ამოცანებს, ასრულებს წინადადებასა და დირექტივს მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ზემდგომი კომიტეტებისას, ანგარიშს აძლევს როგორც ამ კომიტეტებს, ისე იმ აღმასრულებელ კომიტეტს (საბჭოს), რომელთანაც იგია დაარსებული, და ყველა თავის ღონისძიებას ანხორციელებს საბჭოთა სათანადო ორგანოების მეშვეობით.

10. თავისი ამოცანების განსახორციელებლად წარმოებულ მუშაობაში ადგილობრივი კომიტეტი მიიზიდავს აღმასრულებელი კომიტეტის (საბჭოს) სათანადო სექციას და აგრეთვე ქალთა სადღეღვატო კრებას და ქალთა აქტივს, რომელიც საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებში მუშაობს.

11. ადგილობრვემა კომიტეტმა მოხსენებები თავისი მოქმედების შესახებ უნდა წარუდგინოს მშრომელთა ფართო კრებებს, რისთვისაც, კერძოდ, უნდა გამოიყენოს ხოლმე საბჭოთა საანგარიშო კამპანიები, ქალთა ყრილობები და სხვ.

12. ადგილობრივი კომიტეტებისათვის მომსახურების გაწევა დაეკისრება სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის (საბჭოს) აპარატს.

მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტის სახსარი.

13. მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტების სახსარი შესდგება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებით გადადებული ასიგნებებიდან და სხვა წყაროების შემოსავლიდან, რაც მათ მიეკუთვნებათ საკანონმდებლო ორგანოების დადგენილებებით.

კომიტეტების ხარჯთაღრიცხვები დამტკიცდება სათანადო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების ხარჯთაღრიცხვების შედგენილობაში.

271. დადგენილება ც. ა. კ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: საქართველოს სსრ მეცნიერებათა ინსტიტუტის დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1930 წლის მაისის 6, შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა ინსტიტუტს ეწოდოს „საქართველოს სსრ სამეცნიერო აკადემია“.

2. აღნიშნული დებულების მე-5, და 6 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„5. მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებას აქვს სექციები;

- ა) მათემატიკური დისციპლინებისა,
- ბ) ფიზიკის და გეოფიზიკისა,
- გ) ქიმიისა,

- დ) გეოლოგიის და მინერალოგიისა,
 ე) ზოოლოგიისა, ბოტანიკის და ფიზიოლოგიისა,
 ვ) გეოგრაფიისა,
 ზ) ანატომიისა,
 ი) გამოყენებითი მეცნიერებისა“.
 „6. საზოგადოებრივ-ისტორიულ მეცნიერებათა განყოფილებას აქვს შემდეგი სექციები:

- ა) ეკონომიურ მეცნიერებათა,
 ბ) ფილოსოფიის და ფსიქოლოგიისა,
 გ) მატერიალური კულტურის და ხელოვნების ისტორიისა,
 დ) ენათმეცნიერებისა (კერძოდ—იაფეთილოლოგიის საფუძველზე დაყრდნობით),
 ე) ლიტერატურათ-მკოდნეობისა და წერიითი ენებისა,
 ვ) პედაგოგიკისა.

შენიშვნა. თითოეული სექციის კათედრათა რაოდენობას განსაზღვრავს განათლების სახალხო კომისარი“.

3. პრეზიდენტის მოადგილის თანამდებობა (მუხლი მე-19) გაუქმებული იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-

სრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის მდივანი **ს. ჟოდრია.**

1930 წ. სექტემბრის მ.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 218 №-ში 1930 წ. სექტემბრის 18.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

272. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ქალაქებსა და სოფლებში 1930-1931 წ. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ „ქალაქებში 1930-1931 წ. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 31 №-ი, მუხ. 342) და „სოფლებში 1930-1931 წ. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 31 №-ი, მუხ. 343) 1930 წლის მაისის 31-ის თარიღით გამოცემული დადგენილების განსაზღვრებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

1. შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1930 წლის მაისის 31-ის დადგენილება „ქალაქებში 1930-1931 წ. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 31 №-ი, მუხ. 342) გაგრცელებულ იქნეს შემდეგ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებზე: ახალქალაქი, ახალციხე, ბათომი, ბორჯომი, გაგრა, გორი, გუდაუთი, დუშეთი, ზესტაფონი, ზუგდიდი, თელავი, ოზურგეთი, ონი, ოჩამჩირე, ფოთი, სამტრედია, საჩხერე, სენაკი, სიღნაღი, სოხუმი, ტფილისი, ქუთაისი, შაუმიანი, ჩხარი, ცხინვალი, კიათურა, ხარაგოული, ხაშური და ხონი.

2. „სოფლებში 1930-1931 წ. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1930 წ. მაისის 31-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 31 № ი, მუხ. 343) 1-ლი მუხლის შენიშვნის შესაბამისად—შემოღებულ იქნეს საქართველოს სსრ-ში შემდეგი სახის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა, რაც გათვალისწინებულია აღნიშნულ დადგენილებაში:

ა) შენობებისა და სასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამრეწველო საწარმოს ცეცხლისაგან დაზღვევის დარგში—კოლმეურნეობათა და სხვა პირველი საფეხურის კოოპერატივების (გარდა სამომხმარებლოსი) შენობათა და სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა დაზღვევა და იმავე ორგანიზაციების რთული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა, და მექანიზირებული ტრანსპორტისა და სათესლე მარაგის დაზღვევა—მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებითურთ:

ბ) სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასეტყვისაგან დაზღვევა—აფხაზეთის სსრ-ში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ტფილისის საქალაქო საბჭოს ქვემდებარე სოფლებში და შემდეგ რაიონებში:

ადიგენის,
ამბროლაურის,
აღბულალ-მანგლისის,
ახალქალაქის,
ახალციხის,
ბაღდათის,
ბაშკიჩეთის,
ბორჯომის,
ბორჩალოს,
გარე-კახეთის,
გორის,
გურჯაანის,

დუშეთის,
გარდა არხოტის, ბარისახოს,
ბაკალიგოს და შატილის
სასოფლო საბჭოების ტერიტორიებისა,
ერწო-თიანეთის,
ზესტაფონის,
თელავის,
კასპის,
ლაგოდეხის,
ლიუქსემბურგის,
მცხეთის,
ონის,

სიღნაღის,
ტოლოშის,
ქვემო-სვანეთის,
ყვარელის,
ჩხარის,
ცაგერის,

წალკის,
კიათურის,
კრებლოს
ხარაგაულის,
ხაშურის,
ხევის;

გ) ბამბისა, სოიას და კენაფის ნათესის მოუსავლობისაგან დაზღვევა—
მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე;

დ) სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის სიკვდილისაგან დაზღვევა—მთლად
საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, აფხაზეთის სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავ-
ტონომიური ოლქის ტერიტორიებითურთ, ხოლო აპარისტანის ავტ. სსრ-ის და
ზემო-სვანეთის რაიონის ტერიტორიებისა და აგრეთვე დუშეთის რაიონის არ-
ხოტის, ბარისახოს, ბაკალიგოს და შატლის სასოფლო საბჭოების ტერიტო-
რიების გამოკლებით.

II.

3. შრომისა და თავდაცვის საბჭოს ზემოაღნიშნული 1930 წ. მაისის 31-ის
დადგენილებების სათანადო დებულებათა განსავითარებლად—დაწესებულ იქნეს
ამა დადგენილების დანართებში და მე-4 და მე-5 მუხლებში აღნიშნული ნორ-
მები და განაკვეთები.

4. მოუსავლობისაგან ბამბის ნათესის დაზღვევით უზრუნველყოფის ნორ-
მად დაწესებულ იქნეს,—დესეტინაზე საშუალო მოსავლიანობის—2,5 ცენტნერის
მიხედვით,—დესეტინაზე 21 ფუთის ღირებულება კოლექტიური მეურნეობებისა
და სხვა პირველი საფეხურის კოოპერატივებისათვის და 19 ფუთისა—ინდივი-
დუალური მეურნეობებისათვის.

5. დაწესებულ იქნეს მარცვლეული კულტურების გასაზრდევით თესლის შემ-
დეგი ნორმები დესეტინაზე კოლექტიური მეურნეობებისა და სხვა პირველი სა-
ფეხურის კოოპერატივებისათვის: ხორბალი საშემოდგომო და საგაზაფხულო—10
ფუთი, ქვაყი—9 ფ., ქერი საშემოდგომო და საგაზაფხულო—8 ფუთი, შვრია—6
ფუთი, სიმინდი—3 ფუთი და 20 გირვ., გრეჩიხა—4 ფუთი, ფეტვი—1 ფუთი,
სორგო—2 ფუთი, ასლი საშემოდგომო და საგაზაფხულო—12 ფუთი. ფუთი
მარცვლეულის ღირებულება განისაზღვრება მტკიცე ფასების მიხედვით, რასაც
დააწესებს ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

III.

6. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადის აკრეფა მოხდება
გადასახადთა გადახდევინების დებულებაში (სსრკ კან. კრ. 1925 წ./70 №-ი,
მუხ. 518 შედგომი ცვლილებებით) გათვალისწინებული წესისამებრ; დაზღვევის
გადასახადის აკრეფა დაეკისრება სოფლად სასოფლო საბჭოებს, ხოლო ქალა-
ქად—მილიციას.

შენიშვნა. სასოფლო საბჭოებთან და მილიციასთან თანაბრად გადასახადის გადახდევინება შეიძლება აწარმოონ სახელმწიფო დაზღვევის აგენტებმაც.

7. პასუხისმგებლობა სოფლად სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადის შემოსვლისათვის იმ ვადებზე, რაც განსაზღვრულია „სოფლებში 1930-1931 წ. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1930 წლის მაისის 31-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 31 №-ი, მუხ. 343) 28 მუხლში, დაეკისრება სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს.

საერთო ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის გაწევა სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადის აკრეფისათვის დაეკისრება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს.

8. ინმტრუქციებს ამა დადგენილების განხორციელებისათვის გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოსთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარია საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარია საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ანთაძე.

1930 წ. აგვისტოს 25.
ტფილისი—სასახლე.

და ნ ა რ თ ე ბ ი

საქართველოს სსრ სახალხო კომისარია საბჭოს დადგენილებისა საქართველოს სსრ ქალაქებსა და სოფლებში 1930 1931 წ. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

დანართი № 1.

სატარიფო განაკვეთები შენობების ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში დაზღვევისათვის.

(კაპიკობით დაზღვევის თანხის 100 მანეთზე)

| | |
|--|----|
| ბათომი და ტფილისი..... | 15 |
| ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, გაგრა, გორი, გუდაუთი, დუშეთი, ზესტაფონი, ზუგდიდი, თელავი, ოზურგეთი, ონი, ოჩამჩირე, ფოთი, სამტრედიო, საჩხერე, სენაკი, სიღნაღი, სოხუმი, ქუთაისი, ცხინვალი, შაუმიანი, ჩხარი, კიათურა, ხარაგოული, ხაშური, ხონი..... | 25 |

სატარიფო განაკვეთები

ა) კოლმეურნეობების და პირველი საფეხურის კოოპერატივების (გარდა სამომხმარებლო კოოპერატივებისა) შენობების, ინვენტარის და სათესლე მარაგის ცეცხლისაგან დაზღვევისათვის.

(კაპიკობით დაზღვევის თანხის 100 მანეთზე).

კომუნებისათვის 0,25 კაპ.

სხვა კოლმეურნეობებისა და კოოპერატივებისათვის 0,35 კაპ.

ბ) სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა (გაწყობილობით) ცეცხლისაგან დაზღვევისათვის.

ყველა სამრეწველო საწარმო ცეცხლის საშიშროების მიხედვით იყოფა ათ სატარიფო კლასად.

ტარიფი კლასების მიხედვით დაწესებულია შემდეგი:

| სატარიფო კლასები | ტარიფი %/0-ად | | სატარიფო კლასები | ტარიფი %/0-ად | |
|------------------|----------------|---------------------------------|------------------|----------------|---------------------------------|
| | კომუნების-თვის | სხვა კოლ-მეურნეობ. და კოოპერატ. | | კომუნების-თვის | სხვა კოლ-მეურნეობ. და კოოპერატ. |
| I | 0,20 | 0,25 | VI | 0,75 | 0,85 |
| II | 0,30 | 0,35 | VII | 0,90 | 1,00 |
| III | 0,35 | 0,45 | VIII | 1,00 | 1,20 |
| IV | 0,45 | 0,55 | IX | 1,10 | 1,30 |
| V | 0,60 | 0,70 | X | 1,30 | 1,60 |

დანართი № 3.

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, რომელსაც ეხება ცეცხლისაგან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა კოლმეურნეობებში და პირველი საფეხურის კოოპერატივებში, გარდა სამომხმარებლო კოოპერატივებისა:

1. ტრაქტორები ყოველგვარი სისტემისა,
2. ტრაქტორის გუთნები ყოველგვარი სისტემისა და თევშებიანი ფარცები,
3. მწკრივად სათესი მანქანები ყოველგვარი სისტემისა,
4. ცხენის ფოცხები,
5. სანიაგებელი, დამხარისხებელი და გოროველის გადამრჩევი მანქანები ტრიერები და სხვა მარცვლის საწმენდი მანქანები,
6. კომბაინები,
7. რთული და უბრალო სალექი მანქანები,
8. სამკალი მანქანები,

9. სათიბავი მანქანები,
10. თივის დამპრესავი მანქანები,
11. სეპარატორები,
12. ლოკომობილები და სხვა მექანიური ძრავები,
13. დამექანიზირებული ტრანსპორტი.

დანართი № 4.

ნორმები და ტარიფები სასოფლო-სამეურნეო კულტურების დახეცვისაგან დაზღვევისათვის.

ა. ნ ა რ მ ე ბ ი.

| ტექნიკური და სპეციალური კულტურების სახელწოდება | ნორმა მანეთობით დესე- ტინაზე | |
|--|--|------------------------------|
| | კოლექტიუ- რი მეურნეო- ბებისათვის | ინდივიდუალ- მეურნეობებზე. |
| გ ე ნ ა ხ ი | 500 | 300 |
| ბ რ ი ნ ჯ ი | 100 | 80 |
| ბახჩა და ბოსტანი | 300 | 200 |
| თამბაქო ყვითელი, გარდა აფხაზეთის თამბაქოსი | 500 | 200 |
| თამბაქო ყვითელი აფხაზეთში | 750 | 500 |
| ბ უ ს უ ს ი | 100 | 80 |
| ჩაის პლანტაციები | 600 | 400 |
| ს ვ ი ა | 600 | 400 |
| ფესვნარი და ძირკვნარი | 100 | 80 |
| ნათესი ბალახი სათივედ და სათესლედ | 150 | 100 |
| ხეხილის ბალი | 300 | 200 |
| საწამლე-მცენარეები, მათ შორის პიტნაც | 250 | 150 |
| ლ უ ფ ა | 250 | 150 |
| შაქრის ჭარხალი | 150 | 100 |
| სელი ყოველნაირი | 100 | 80 |
| კ ე ნ ა ფ ი | | |
| ჯ უ ტ ი | | |
| კ ე ნ დ ი რ ი | | |
| მზისუმწირა | | |
| აბუსალათინი | | |
| ყაყაჩო ყოველნაირი | | |
| მ დ ო გ ვ ი | 50 | 50 |
| ყველა სხვა კულტურა და ნათესი | | |

ბ. ტ ა რ ი ფ ე ბ ი .

| დასეტყვის საშიშროების ზოლები | სეტყვამგრძნობიერობის კლასები | | | | | | | | | | | |
|------------------------------|---------------------------------|--------------------------------------|---------------------------------|----------------------------|----------------------------------|--------------------------------------|---------------------------------|----------------------------|-----------------------------------|--------------------------------------|---------------------------------|----------------------------|
| | სეტყვამგრძნობიერობის I-ლი კლასი | | | | სეტყვამგრძნობიერობის მე-II კლასი | | | | სეტყვამგრძნობიერობის მე-III კლასი | | | |
| | კომუნებისათვის | სხვა კოლმეურ. და კოლპედატორებისათვის | ინდივიდუალური მეურნეობებისათვის | კულაკური მეურნეობებისათვის | კომუნებისათვის | სხვა კოლმეურ. და კოლპედატორებისათვის | ინდივიდუალური მეურნეობებისათვის | კულაკური მეურნეობებისათვის | კომუნებისათვის | სხვა კოლმეურ. და კოლპედატორებისათვის | ინდივიდუალური მეურნეობებისათვის | კულაკური მეურნეობებისათვის |
| I | 1,1 | 1,2 | 1,3 | 2,6 | 1,8 | 2,0 | 2,4 | 4,8 | 2,5 | 2,8 | 3,5 | 7,0 |
| II | 1,4 | 1,6 | 2,0 | 4,0 | 2,5 | 2,8 | 3,5 | 7,0 | 3,2 | 3,6 | 4,6 | 9,2 |
| III | 1,8 | 2,0 | 2,4 | 4,8 | 3,4 | 3,8 | 4,6 | 9,2 | 4,0 | 4,5 | 5,5 | 11,0 |
| IV | 2,3 | 2,5 | 3,1 | 6,2 | 4,0 | 4,5 | 5,5 | 11,0 | 4,5 | 5,0 | 6,6 | 13,2 |

შენიშვნა 1. სეტყვამგრძნობიერობის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო კულტურები კლასებად განაწილდება შემდეგნაირად:

I კლასი: სიმინდი, ფესვნარი და ძირკვნარი (საქონლის საკვები და ბოსტნის ჭარხალი, კართოფილი, მიწის ვაშლი, თაღამი, ბოლოკი), საკვები ბალახი (იონჯა, ტიმოთეს ბალახი), ჭვავი, ხორბალი, ასლი, ქერი, შალაფა, ღომი, შვრია, ფეტვი, მარცლოვან-კერკოვანი (მუხუდო, ლობიო, კერცვი, ვიკა, უგრეხელი), ლუბინი, სუდანის ბალახი;

II კლასი: გრეჩიხა, ბრინჯი, მარცლოვანი და ზეთოვანი მცენარეები (მზისუმშირა, კუნჯუტი, აბუსალათინი, ყაყაჩო); ბაღის და ბოსტნის კულტურები (საზამთრო, ნესვი, გოგრა, კიტრი, პამიდორი), ბოჭკოვანი მცენარეები (ბამბა, სელი, გოგშო), საწამლე მცენარეები, ლუფა.

III კლასი: ხილი, მხილი, ყურძენი, თამბაქო, თუთა, სვია, ხეხილის და მხილის სანერგეები, ჩაისა და შანდარინის პლანტაციები.

შენიშვნა 2. სეტყვის საშიშროების ზოლებს დააწესებს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველო.

სატარიფო განაკვეთები ბამბისა, სოიას და კენაფის მოუსავლობისაგან დაზღვევისათვის.

| | კოლმეურნეობებისა და 1-ლი საფეხ. კოოპერატივები. | ინდივიდუალური მეურნეობებისათვის | კულაკური მეურნეობებისათვის |
|-----------------------|--|---------------------------------|----------------------------|
| ბ ა მ ბ ა | 2,0 | 3,0 | 6,0 |
| ს ო ი ა | 3,0 | 6,0 | 12,0 |
| კ ე ნ ა ფ ი | 3,0 | 5,0 | 10,0 |

დანართი № 6.

წორმები და ტარიფები სასოფლო-სამეურნეო პირუტყვების დაზღვევისათვის.

ა. ნ ო რ მ ე ბ ი.

| | კოლმეურნეობებისა და პირველი საფეხ. კოოპერატივებისათვ. წორმები მანეთ. სულზე | ინდივიდუალური მეურნეობებისათვის |
|---|--|---------------------------------|
| მოზარდი, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი 1 ¹ / ₂ -დან 2 ¹ / ₂ წამდე | 20 | 15 |
| ხარკამეჩი და ფურკამეჩი 2 ¹ / ₂ -დან 3 ¹ / ₂ წ. | 45 | 35 |
| ხარკამეჩი და ფურკამეჩი 3 ¹ / ₂ წლის და მეტი ხნის | 65 | 50 |
| ძროხა და ხარი 2 ¹ / ₂ წლიდან | 45 | 35 |
| ც ხ ე ნ ი | 65 | 50 |
| „ 16 წ. მეტი ხნის | — | 30 |
| ა ქ ლ ე მ ი | 60 | 50 |
| ვ ი რ ი | 15 | 12 |
| ცხვარი და თხა | 10 | — |
| ღ ო რ ი | 15 | — |

ბ. ტ ა რ ი ფ ე ბ ი.

| | კომუნები-სათვის | სხვა კოლმეურნეობ. და პირველი საფეხ. კოოპერატ. | ინდივიდუალური მეურნეობების. | კოლმეურნეობებისათვის |
|---------------------------------------|-----------------|---|-----------------------------|----------------------|
| მსხვილფეხა რქოსანი საქონელი | 3,0 | 3,3 | 4,7 | 9,4 |
| ცხენი, აქლემი და ვირი | 5,0 | 5,5 | 8,2 | 16,4 |
| ცხვარი, თხა და ღორი | 7,5 | 7,5 | — | — |

273. დადგენილება ს. კ. ს.

ხელის მოსავლის ნორმის დაწესების შესახებ ერთ ჰექტარზე, რომელი ნორმის დანაკლისსაც აუნაზღაურებს მთესველს სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევა.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1930 წ. ივნისის 16-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 33 №-ი, მუხ. 355) საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიისათვის ხელის მოსავლის ნორმა ერთ ჰექტარზე 3,75 ცენტნერის რაოდენობით, რომელი ნორმის დანაკლისსაც აუნაზღაურებს მთესველს სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. აგვისტოს 25.
ტფილისი—სასახლე.

274. დადგენილება ს. კ. ს.

სახელმწიფო დაზღვევის სფეროში მისანიჭებელი შეღავათების ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ.

ქალაქად და სოფლად სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1930 წ. მაისის 31-ის დადგენილების (სსრკ-ის კან. კრ. 1930 წ. 31 №-ი, მუხ. 342 და 343) შესაბამისად— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ინსტრუქცია სოფლად და ქალაქად 1930-31 წლის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის სფეროში შეღავათების მინიჭების წესის შესახებ;

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბ-
ჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. აგვისტოს 6.
ტფილისი—სასახლე.

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

სოფლად და ქალაქად 1930-31 წლის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის სფეროში შეღავათების მინიჭების წესის შესახებ.

შეღავათების მინიჭება სოფლად.

I. იმ მეურნეობათა კატეგორიები, რომელთაც აქვთ შეღავათების უფლება.

1. შეღავათები მიეცემა შემდეგი თანდათანობითი წესით:

ა) იმ ინდივიდუალურ მეურნეობათ, რომელთა შედგენილობაშიაც შედიან ვაღიანი სამსახურის მერიგეთა და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახურნი (ისეთ პირთა გამოუკლებლად, ვინც გაწვეულია იმ წლის შემოდგომაზე, რა წელსაც სწარმოებს დაზღვევის გადასახადების გამოანგარიშება) და გრძელვადიან შევებულებაში, სათადარიგოდ ან სრულიად სამსახურიდან დათხოვნილი სამხედრო მსახურნი ერთი წლის განმავლობაში დღიდან მათი დათხოვნისა;

ბ) ყოფილი წითელგვარდიელების და წითელი პარტიზანების ოჯახებს;

გ) ტერიტორიალური ცხენოსანი ნაწილების ცვალებადი შედგენილობის იმ მერიგეთა და უმცროს თავმდგომთა ოჯახებს, რომელნიც გაწვეულ არიან სამთვიან სწავლებაზე სამსახურის პირველ წელიწადს და სასწავლო შეკრებაზე საკუთარი სამწყობრო ცხენებით (იმ ადგილებში, სადაც შემოღებულია ცხენების საგანაკვეთო დაზღვევა); შეღავათი მიეცემათ ერთი ცხენის დაზღვევის გადასახადის რაოდენობით.

შენიშვნა. „ა“ პუნქტში აღნიშნული პირები ან მთლიანად თავისუფლდებიან გადასახადებისაგან, ან და მათ დაეთმობათ არა ნაკლებ შეწერილი გადასახადის ერთი მესამედისა;

დ) იმ სასოფლო-სამეურნეო კომუნებსა და არტელებს, რომელთა შედგენილობაშიაც შედიან „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ მოქალაქეთა ოჯახები, შეღავათები ეძლევათ საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადისაგან განთავისუფლების სახით არა ნაკლებ იმ წილის მესამედისა, რაც უნდა გადაიხადონ ამ მეურნეობებმა; წილი განისაზღვრება ამ მოქალაქეთა რიცხვის შეფარდებით კოლმეურნეობების წევრთა საერთო რიცხვთან;

ე) უკეთეს სასოფლო-სამეურნეო კომუნები, არტელები და მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ის ამხანაგობები, რომელთაც განასაზოგადოვეს საწარმოო საშუალებანი, განთავისუფლებული არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადებისაგან დაუბეგრავი მინიმუმის მიხედვით, ისინი განთავისუფლდებიან აგრეთვე დაზღვევის გადასახადების შეტანისაგან განსაზოგადოებულ ქონებაზე;

ვ) ის სასოფლო-სამეურნეო კომუნები და არტელები, რომელთა შემადგენლობაშიაც შედიან სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებით მოკლულ ტყვისმცველთა ოჯახები, საბავშვო სახლების მოწაფეები, კულაკური ტერორით დაზარალებულთა ოჯახები და ომისა და შრომის ინვალიდები, განთავისუფლ-

დებიან დაზღვევის გადასახადისაგან იმ წილის რაოდენობით, რაც მოდის აღნიშნული კატეგორიების მოქალაქეებზე; წილი განისაზღვრება ამ მოქალაქეთა რიცხვის შეფარდებით კოლმეურნეობის წევრთა საერთო რიცხვიდან;

ბ) იმ სასოფლო-სამეურნეო კომუნებსა და არტელებს, სადაც შედიან ის მეურნეობები, რომელთაც 1929-30 წელს ინდივიდუალური მეურნეობების სახით მიიღეს შეღავათები დაზღვევის გადასახადების სფეროში, მიეცემათ შეღავათები მათ ხვედრ გადასახადებზე არა უმეტეს იმ თანხის 50 პროცენტისა, რაც მოდის ხსენებულ მოქალაქეთა წილად; ეს წილი განისაზღვრება წინაღ შეღავათების მქონე მოქალაქეთა რიცხვის შეფარდებით კოლმეურნეობის წევრთა საერთო რიცხვთან;

თ) სასოფლო-სამეურნეო კომუნებსა და არტელებს, რომელთა მეურნეობების ძალოვნება შერყეულია რაიმე სტიქიური უბედურებით;

ი) გადასახლებულთა სასოფლო-სამეურნეო კომუნებსა და არტელებს, უკეთუ ადგილობრივი საგადასახადო კომისია სცნობს მათ მცირეძალოვან კომუნებად და არტელებად;

კ) იმ ღარიბ მეურნეობებს, რომელთაც ჰქონდათ შეღავათები დაზღვევის გადასახადზე 1929-30 წ. და აგრეთვე სამხედრო მსახურთა ოჯახებს (პ. „ა“), კოლმეურნეობებში შესვლისას, ეძლევათ შეღავათები დაზღვევის გადასახადების სფეროში 1930-31 წელს იმ ქონებაზე, რაც დარჩება ინდივიდუალურ სარგებლობაში „ლ“ პუნქტში აღნიშნული წესით;

ლ) ის ინდივიდუალური მეურნეობა, რომელსაც მკამელზე საშუალო შემოსავალი 15 მანეთამდე აქვს, განთავისუფლდება მთლად დაზღვევის გადასახადისაგან, ხოლო მკამელზე 16 მანეთიდან 30 მანეთამდე საშუალო შემოსავლის მქონე მეურნეობა განთავისუფლდება 50 პროცენტით, 31 მანეთიდან 45 მანეთამდე—დაზღვევის გადასახადის $\frac{1}{3}$ -ით; სამხედრო მსახურთათვის შეღავათი არ შეიძლება იყოს გადასახადის $\frac{1}{3}$ -ზე ნაკლები;

შენიშვნა 1. მეურნეობის საშუალო შემოსავლიანობის შესახები ცნობები განისაზღვრება საგანაკვეთო სიის 40—41—42 გრაფების მიხედვით.

შენიშვნა 2. „ლ“ პ-ში აღნიშნული შეღავათები გაიცემა თანამიმდევრობის წესისამებრ საშეღავათო ფონდის საერთო რაოდენობის ანგარიშში მიღებით.

მ) შეღავათები მიეცემათ ომის ინვალიდთა მეურნეობებს, რომელთაც არა აქვთ არაშრომითი ხასიათის შემოსავალი, და იმ შრომის ინვალიდებს (იმ პირებს, ვინც შრომის უნარი დაკარგა დაქირავებით მუშაობის დროს), რომელნიც მიკუთვნებულ არიან ინვალიდობის პირველ ან მეორე ჯგუფისათვის;

ნ) აგრეთვე გადასახლებულთა და განსახლებულთა მცირეძალოვან მეურნეობებს—გადასახლებისა და განსახლების პირველ წელს;

ო) აგრეთვე იმ მეურნეობებს, რომელთა ძალოვნებაც შერყეულია სხვადასხვა სტიქიური უბედურებისაგან, რაც გათვალისწინებული არ არის უწყებულ ტერიტორიაზე შემოღებული ამა თუ იმ სახის საგანაკვეთო დაზღვევით.

2. როდესაც არსებობს იმის საფუძველი, რომ ერთსა და იმავე მეურნეობას უნდა მიენიჭოს ორი ან მეტი სხვადასხვა შეღავათი სხვადასხვა ნიშნე-

ბის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში შეღავათების შეჯამება არ მოხდება, არამედ მეურნეობას მიეცემა მისანიჭებელ შეღავათებ შორის ყველაზე დიდი შეღავათი.

3. დაზღვევის გადასახადისაგან განთავისუფლდება ის მეურნეობა, რომლის დაზღვევის გადასახადის საერთო თანხა 50 კაპ. არ აღემატება.

4. შეღავათები არ მიეცემა უკეთუ 1, 2 და 3 მუხლებში ჩამოთვლილ მოქალაქეთ ჩამორთმეული აქეთ საარჩევნო უფლება და დაბეგრულ არიან სარეწაო ან საშემოსავლო გადასახადით.

5. სასოფლო საგადასახადო კომისიას შეუძლიან გაანთავისუფლოს ის მეურნეობა, რომელსაც ეძლევა შეღავათი საგანაკვეთო გადასახადზე, აგრეთვე წასული წლების ნარჩენებისაგანაც იმ პროცენტით, რა პროცენტითაც მას მიეცემა შეღავათი 1930-31 წ. განაკვეთზე.

6. საშეღავათო ფონდის თანხას ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა და აგრეთვე რაიონებს შორის ანაწილებენ სათანადო საგადასახადო კომისიები, რომელთა შედგენილობა შეესებულ უნდა იქნეს სახელმწიფო დაზღვევის სათანადო ორგანოს ერთი წარმომადგენლით გადამწყვეტი ხმის უფლებით; ამ წარმომადგენელს დანიშნავს სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო—ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

7. შეღავათების სარაიონო ფონდს სოფლის საბჭოებს შორის გაანაწილებს რაიონის საგადასახადო კომისია, რომლის შედგენილობაშიაც გადამწყვეტი ხმის უფლებით შევა სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს საოლქო კონტორის წარმომადგენელი. შეღავათების შემდგომ განაწილებას აწარმოებს სოფლის საგადასახადო კომისია, რომლის შედგენილობაშიაც ამ მიზნისათვის შედის დაზღვევის სათანადო ორგანოს მომუშავე.

II. შეღავათების განაწილების წესი.

8. ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა და აგრეთვე რაიონებს შორის საშეღავათო ფონდების განაწილების დროს (მუხ. 6) სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო შედგელობაში მიიღებს შედარებითს ცნობებს ცალკეული ტერიტორიების საერთო ძალოვნების შესახებ, წინა წლის მოსავლიანობის რაოდენობას, მომავალი წლის მოსავლის ნიშნებს, ღარიბ მეურნეობათა და სავალდებულო წესით შეღავათ-მისაცემ მეურნეობათა შედარებითს რიცხვს და კოლექტივიზაციის საქმის მდგომარეობას ამ ტერიტორიაზე.

9. რაიონებს შორის საშეღავათო ფონდის განაწილების დროს კომისიები უნდა ეყრდნობოდენ უმთავრესად ღარიბ მეურნეობათა შედარებითს რაოდენობას და ანგარიში უნდა მიიღონ კოლექტივიზაციის ოდენობა.

10. ცალკეული დამზღვეველების შეღავათებს აწესებენ სასოფლო საგადასახადო კომისიები (ხოლო იქ, სადაც ეს კომისიები არ არსებობს, სასოფლო საბჭოები გლუხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებათა კომიტეტთან ერთად). კომისიები, იხელმძღვანელებენ რა ამა ინსტრუქციას, წინასწარვე შეადგენენ იმ დამზღვეველების სიებს, რომელთაც შეღავათები უნდა მიენიჭოს, და ჯერ კიდევ

დარიცხული განაკვეთების შესახებ ცნობების მიღებამდე წინააღმდეგ აღნიშნავენ პროცენტებით მოსახსნელად განზრახული გადასახადის რაოდენობას.

შენიშვნა. იმ დოკუმენტებად, რომლების მიხედვითაც სამხედრო მსახურთ მიეცემათ შეღავათები, ითვლება: მოწმობა გამწვევი კომისიისა, სამხედრო ნაწილისა და დაწესებულებისა, სამხედრო-სააღმშენებლო დოკუმენტი და სხვა.

11. სიების შედგენის მუშაობის გათავებისთანავე, სასოფლო საგადასახადო კომისია დაუყოვნებლივ წარუდგენს ამ სიებს სოფლის აქტივის განსახილველად და სიებში შეტანილი შესწორებებითურთ გაუგზავნის დაზღვევის სარაიონო აპარატს.

12. რაიონის დაზღვევის აგენტი, დარიცხული განაკვეთების ცნობების მიხედვით, აღნიშნავს სიებში შეღავათების თანხას მანეთობით თვითნებულ მეურნეობისათვის და ამასთან ერთად თვალყურს ადევნებს, რათა შეღავათი არ მიეცეს ისეთ პირს, რომელსაც არა აქვს ამის უფლება; ამის შემდეგ სიებს საბოლოო დამტკიცებისათვის გადასცემს სარაიონო საგადასახადო კომისიას.

13. სარაიონო საგადასახადო კომისია შეამოწმებს დაზღვევის აგენტისაგან მიღებულ სიებს. უკეთეს სიების მიხედვით მინიჭებული შეღავათების თანხა არ აღემატება საშეღავათო ფონდის რაოდენობას, კომისია დაამტკიცებს სიებს; ხოლო, უკეთეს სიებში აღნიშნული შეღავათების თანხა აღემატება საშეღავათო ფონდის რაოდენობას, სარაიონო საგადასახადო კომისია ან ამოშლის სიებიდან ცალკეულ მოქალაქეებს, ან შეამცირებს შეღავათების პროცენტს ცალკეულ ჯგუფზე. ან და, განსაკუთრებით პატივსაღებ შემთხვევაში, აღძრავს შუამდგომლობას სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს წინაშე საშეღავათო ფონდის გადიდების შესახებ.

14. მინიჭებული შეღავათების სიის დამტკიცების შემდეგ სარაიონო საგადასახადო კომისია გადასცემს ამ სიას დაზღვევის სარაიონო აპარატს, რათა ამ უკანასკნელმა შეიტანოს შეღავათები სადამზღვევო შეტყობინებებში და სიების ასლები გაუგზავნოს სათანადო სასოფლო საბჭოებს.

15. დამტკიცებული შეღავათების სიები, ფართო საზოგადოებრივი კონტროლის მიზნით, წაიკითხება მოქალაქეთა საერთო კრებებზე, რის შემდეგაც გამოიკიდება თვალსაჩინო ადგილას, რომ ყველას შეეძლოს სიების ნახვა.

16. სასოფლო და სარაიონო საგადასახადო კომისიები შეღავათების მინიჭებასთან დაკავშირებული მუშაობის პროცესში განიხილავენ დამზღვეველების მიერ შეღავათების გამო შეტანილ ყველა განცხადებას.

17. შეღავათების განაწილების მთელი მუშაობა დამთავრებულ უნდა იქნეს ისე, რომ ყველა მინიჭებული შეღავათი შეტანილ იყოს სადამზღვევო შეტყობინებებში მათი დამზღვეველებისათვის გაგზავნამდე.

III. შეღავათების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა განსაზღვრება.

18. დამზღვეველის საჩივარი სასოფლო საგადასახადო კომისიის გადაწყვეტილებასზე შეიტანება სარაიონო საგადასახადო კომისიაში სასოფლო საბჭოს მეშვეობით; ხოლო სარაიონო და საქალაქო საგადასახადო კომისიის გადაწყვე-

ტილებზე—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით—რესპუბლიკანურ საგადასახადო კომისიაში, რომლის დადგენილებაც საბოლოოა და არ განისაჩივრება.

19. სარაიონო და რესპუბლიკანურ საგადასახადო კომისიებში გადაცემულ საჩივრებს და განცხადებებს აუცილებლად დართული უნდა ჰქონდეს ქვემდგომი საგადასახადო კომისიის დასკვნა.

20. საჩივრის შეტანის ვადა განისაზღვრება ერთი თვით დღიდან სადაზღვევო შეტყობინების მიღებისა.

21. დამზღვეველების ყველა საჩივარი და განცხადება განიხილება კომისიების მიერ არა უგვიანეს 15 დღისა მისი მიღების დღიდან.

22. საჩივრისა და განცხადების შეტანა არ შეაჩერებს დაზღვევის გადასახადის გასტუმრებას.

23. ყველა საჩივარი და განცხადება შეღავათების მენიჭების შესახებ განთავისუფლებულია საღერბო გამოსაღებისაგან.

IV. შეღავათების მინიჭება ქალაქად.

24. შეღავათები საქალაქო დაზღვევებზე მიიცემა შემდეგი თანდათანობით:

ა) იმ პირთა ოჯახებს, რომელნიცამოთვლილ არიან „ა—დ“ და „კ—ო“ პუნქტებში, და იქვე აღნიშნული რაოდენობით;

ბ) ყველა დაქირავებულ მუშას და მოსამსახურეს, უკეთუ თვით მისი სამუშაო საშოვარი ან მისთან ერთად საერთო მეურნეობის მქონე მისი ოჯახის წევრის სამუშაო საშოვარი დაბეგრული არ არის საშემოსავლო გადასახადით;

გ) მოხალისეთა სახანძრე საზოგადოებების წევრებს, რომელნიც ეკუთვნიან მშრომელ მოსახლეობას.

შენიშვნა. მოხალისეთა სახანძრე საზოგადოების წევრთა შეღავათები ვრცელდება მხოლოდ ქალაქად მდებარე მათ ქონებაზე და არა სოფლის ქონებაზე.

25. შეღავათების განაწილება ავტომონიურ რესპუბლიკებზე, ავტონომიურ ოლქზე და აგრეთვე რაონებზე სწარმოებს 6—9 მუხლების თანახმად. შემდგომ განაწილებას ცალკეულ ქალაქებს შორის აწარმოებენ სარაიონო საგადასახადო კომისიები, შემდგომ კი—სასოფლო საგადასახადო კომისიები უღარიბესი მოსახლეობის რაოდენობის თაობაზე ქონებული ცნობების თანახმად, ხოლო უკეთეს ცნობები არ არსებობს, —დარიცხული გადასახადების თანხის პროპორციულად.

26. ცალკეულ მოქალაქეთ შეღავათებს მინიჭებს საგადასახადო კომისია, ხოლო, უკეთეს ასეთი კომისია არ არსებობს,—საქალაქო საბჭოსთან სპეციალურად მოწყობილი კომისია, რომლის შედგენილობაშიაც შევლენ: თავმჯდომარე—საქალაქო საბჭოს წევრი და წარმომადგენელი: საქალაქო საბჭოს საფინანსო სექციისა, სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი ორგანოსი, პროფესიონალურ კავშირთა შენაერთისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსი.

შენიშვნა. იმ ქალაქში, სადაც საქალაქო საბჭო არ არსებობს, შეღავათების მინიჭების საქმე დაეკისრება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ სოფლად სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევაზე შეღავათების განმანაწილებელ სარაიონო სიგადასახადო კომისიას.

27. ქალაქად შეღავათების გასანაწილებლად სახელმწიფო დაზღვევის ორგანო იმ ცნობების თანახმად, რასაც იგი მიიღებს საფინანსო ორგანოებისაგან, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში—სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებისაგან, სახლის მფლობელთა კვარტალურ ან სხვა შენაერთისაგან, მილიციის ორგანოებისაგან და სხვ., შეადგენს იმ დამზღვეველების საგულვებელ სიას, რომელთაც შეღავათები უნდა მიეცეს, და შეიტანს ამ სიას დასამტკიცებლად 26 მუხლში აღნიშნულ კომისიაში, რის შემდეგაც მინიჭებულ შეღავათებს მოათავსებს სადამზღვევეო შეტყობინებებში.

შენიშვნა 1. შეღავათი შეიძლება აგრეთვე მიეცეს იმ მოქალაქეს, რომელიც აღნიშნული არ არის სიაში, რისთვისაც მან განცხადება უნდა შეიტანოს საგადასახადო კომისიაში.

შენიშვნა 2. სამხედრო მსახურმა შეღავათის მისაღებად უნდა წარმოადგინოს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მას აქვს შეღავათის მიღების უფლება. ასეთ დოკუმენტად ითვლება: მოწმობა გამწვევი კომისიისა, სამხედრო ნაწილისა და დაწესებულებისა, სამხედრო-სააღუსხვო დოკუმენტი და სხვა.

28. ქალაქად შეღავათების მინიჭებისათვის დაცულ უნდა იქნეს იგივე წესი, რაც ზემოდ არის აღნიშნული.

275. დადგენილება ს. ა. ს.

„საქართველოს სსრ-ში უმაღლესი და საშუალო განათლების სკოლების რეორგანიზაციის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ-ში უმაღლესი და საშუალო განათლების სკოლების რეორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 7-ის დადგენილების მე-2 მუხლი (გაზ. „კომუნისტის“ 159 №-ი 1930 წ. ივლისის 9-ისა) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს სსრ უწყებებისა და ორგანიზაციების გამგებლობაში გადასცემ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ უმაღლეს სასწავლებელში სწავლება უნდა სწარმოებდეს ქართულ ენაზე.“

შენიშვნა. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 18-ის დადგენილების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 162) საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემულ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლება სწარმოებდეს ქართულ ენაზე, გარდა მექანიზაციისა და ინდუსტრიულიზაციის ფაქულტეტისა, სადაც სწავლება პარალელურად სწარმოებდეს აგრეთვე რუსულ ენაზე.“

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
 თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
 საკმეთა მმართველი ვ. მეგრელიშვილი.

1930 წ. სექტემბრის 6.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 223 №-ში 1930 წ. სექტემბრის 24.

276. დადგენილება ს. ქ. ს.

საქართველოს სსრ-ში ავტომობილიზმის განვითარებისა და გზების გაუმჯობესების ხელისშემწყობი საზოგადოების წევრთა განთავისუფლების შესახებ მათი მოტოციკლებისა და ველოსიპედებისათვის გადასახდევინებელი ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნენ საქართველოს სსრ-ში ავტომობილიზმის განვითარებისა და გზების გაუმჯობესების ხელისშემწყობი საზოგადოების წევრნი მათი მოტოციკლებისა და ველოსიპედებისათვის გადასახდევინებელი ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან, უკეთეს ისინი თავიანთ მოტოციკლებს და ველოსიპედებს გამოიყენებენ არა კომერციული მიზნით; ხოლო ეს პირობები განთავისუფლებიან მოტოციკლის და ველოსიპედის ნომრის ღირებულების გადასახადისაგან მიმოსვლისათვის ნებართვის აღების დროს.

2. ამა დადგენილების გამოცემისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 23-ის დადგენილება „საქართველოს სსრ-ში ავტომობილიზმის განვითარებისა და გზების გაუმჯობესების ხელისშემწყობი საზოგადოების წევრთა განთავისუფლების შესახებ მათი მოტოციკლებისათვის გადასახდევინებელი ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან“ (საქ. კან. ვრ. 1929 წ. № 23, მუხ. 295).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. ნალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი პ. მგერელიშვილი.

1930 წ. სექტემბრის 6.
ტფილისი—სასახლე.

277. დადგენილება ს. ქ. ს.

საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების ჩატარების შესახებ.

რათა უზრუნველყოფილ იქნეს სისტემატიური ხელმძღვანელობის გაწევა საყოველთაო სავალდებულო სწავლების საქმის მომზადებისა და განხორციელებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების ჩამტარებელი რესპუბლიკანური კომიტეტი.

2. წინა მუხლში აღნიშნული კომიტეტი დამტკიცებულ იქნეს შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე ფ. შახარაძე, თავმჯდომარის მოადგილენი: გ. დედვარიაძე და შ. გეგენავა, წევრები: ოდილავაძე (განათლების სახ. კომისარიატი), მახათაძე (კომკავშირი), არუთინოვი (პროფკავშ. საბჭო), ნ. ძიძიგური

(განათ. მუშ. კავშირი), გორდელაძე, ა. ორჯონიკიძე (მუშკოოპი), ქუთათელაძე (ეეკავშირი), პეცოვი (საქ. სახ. მეურნ. უმ. საბჭო), მეძმარიაშვილი (ა/კ. სახ. მეურნ. უმ. საბჭო), ქანთარია (კოლმეურნეცენტრი), კვირკელია („საქართველოს ჩაი“), ღუნღუა („საქ აბრეშუმი“), ამირალოვი (საქ. სახკინმრეწვი), სტურუა (რადიო-ცენტრი), ფანცულაია (მიწსახკომი), ორჯონიკიძე (ა/კ. რკინის გზა), გვარამია (მემინდვრეთა კავშირი), ლიციხოვი (მებალ.-მეზოსტენ.-მელვ. კავშირი), დედუარიანი (მერძვე-მესაქონლეთა კავშირი), მიწიშვილი (სახელგამი), პოლოსოვი (ტფილისის აღმასკომი), კუჭაიძე (ჯანსახკომი), ბოკერია („წერა-კითხვა“), ბუაჩიძე (საგეგმო კომისია), კიკნაძე (გაზ. „კომუნისტი“), გრიგორიანი (გაზ. „რაბოჩაია პრავდა“), რუხაძე (ტრამვაის მუშა), ბოკუჩავა (საქ. პროფკავშირთა საბჭოს მუშა), ქარბუხოვი (სპილენძის ქარხნის მუშა), ნაცვლიშვილი (მე-ნ სტამბის მუშა), მეშაპოშვილი (26 კომუნარის ქარხნის მუშა), კველიშვილი (ქარხანა „მკერავის“ მუშა).

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულებად გამოყოფილ საქალაქო საბჭოებს, სასოფლო საბჭოებს და აგრეთვე საქარხნო-საფაბრიკო დასახლებული ადგილების საბჭოებს დაუყოვნებლივ მოაწიონ, საყოველთაო სწავლების განხორციელებისათვის სახსარისა და ძალების მობილიზაციის მიზნით, საყოველთაო სავალდებულო სწავლების დამხმარე კომიტეტები, რომლებშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ სახალხო განათლების განყოფილებებმა, პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა, კომკავშირმა, „ძირს უწიგნობა“-ს საზოგადოებებმა, „ბავშვთა მეგობრის“ საზოგადოებებმა და კულტურის დარგის აქტივისტებმა მოწინავე მუშათა და კოლმეურნეთაგან.

4. მიენდოს აფხაზერის სსრ, აჭარისტანის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ა/ო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გაატარონ ანალოგიური ღონისძიებანი.

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის სექტემბრის 6-ის დადგენილება საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების ჩამტარებელი შტაბის შესახებ (გაზ. „კომუნისტი“ № 213 წ. სექტემბრის 12-ისა) გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. მაგლობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. სექტემბრის 15.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 222 №-ში 1930 წ. სექტემბრის 23.

278. დადგენილება ს. კ. ს.

საბაზრო კომიტეტების დებულების შეცვლისა და შევსების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს;

საბაზრო კომიტეტების დებულება (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-11 №-ი, მუხ. 107) შეცვლილ და შევსებულ იქნეს შემდეგი სახით:

1. საბაზრო კომიტეტების დებულების 1-ლი მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 1. ქალაქის საბაზრო კომიტეტები მოეწყობა როგორც საეაქრო ორგანიზაციების, ისე სახელმწიფო ორგანოების მოთხოვნით.

საბაზრო კომიტეტები მოქმედობენ სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელობით“.

2. დებულების მე-7 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** საბაზრო კომიტეტის დადგენილება, რომელიც შეეხება კოლექტიური და სხვა ხელშეკრულების ან შეთანხმების დადებას, კაპიტალურ რემონტს, კონტორის შტატის განსაზღვრას ან შეცვლას, წარედგინება დასამტკიცებლად სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმს“.

3. დებულების მე-19 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 19. დაწესებულებები და ორგანიზაციები საერთო კრებაში მონაწილეობას მიიღებენ თავისი წარმომადგენლების მეშვეობით; წარმომადგენელთა რიცხვს განსაზღვრავს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი დაწესებულებათა და ორგანიზაციათა რიცხვისა და აგრეთვე მათი ძალოვნობის მიხედვით“.

4. დებულების 23 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**23 მუხლის შენიშვნა.** საერთო კრების დადგენილება წარედგინება სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმს, რომელსაც უფლება აქვს გააუქმოს იგი შვიდი დღის განმავლობაში ამ დადგენილების ასლის წარდგენის დროიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგენილება დამტკიცებულად ჩაითვლება. უკეთეს საერთო კრების პირველი დადგენილების გაუქმების შემდეგ გამოტანილ დადგენილებას პრეზიდიუმი არ დაამტკიცებს, საკითხი საბოლოოდ გადასაწყვეტად წარედგინება საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს.“

5. დაემატოს დებულებას მე-VI თავი და 29, 30 და 31 მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„VI. საბაზრო კომიტეტის ლიკვიდაცია“.

„მუხ. 29. კომიტეტის ლიკვიდაცია მოხდება სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით და სალიკვიდაციო კომისიის მეშვეობით. სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარეს დანიშნავს აღნიშნული პრეზიდიუმი, ხოლო წევრებს აირჩევს საბაზრო კომიტეტი ამა დებულების მე-4 მუხლის წესისამებრ“.

„მუხ. 30. უკეთუ კომიტეტს სალიკვიდაციო ხარჯებისათვის (მეფხოვე, საუწყებო მილიცია, დაქირავებული პერსონალისათვის საბოლოო ანგარიშის გასწორება და სხვ.) საჭირო სახსარი არ აღმოაჩნდება, სალიკვიდაციო კომისია გაანაწილებს სათანადო თანხას საბაზრო კომიტეტის ტერიტორიაზე მოვაკრე ორგანიზაციათა და პირთა შორის“.

„მუხ. 31. კომიტეტის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ყოველგვარი ქონება (მასალა, ფული, ფასიანი ქაღალდები და სხვ.) მთლიანად გადადის სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს განკარგულებაში კუთვნილისამებრ“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. სექტემბრის 15.

ტფილისი—სასახლე.

